გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

31 ოქტომბერი - 6 ნოემბერი

GRASS
REFORMANDA

- ევროპულმა კომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა;
- რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს, ხოლო ლევან დოთიაშვილი გაიტაცეს;
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატის მიმართ შეურაცხმყოფელი, სექსისტური განცხადებები გააკეთა;
- „ქართული ოცნების“ დეპუტატები ირწმუნებიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციას არ სურთ, საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს;
- მმართველი პარტია განაგრძობს ევროკავშირისა და აშშ-ს კრიტიკას ექსტრემიზმის წახალისების ბრალდებით;
- კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მოლოდინში პროპაგანდა დასავლეთს ქაოსის გამიზნულად შექმნაში ადანაშაულებდა;
- პროპაგანდის თანახმად, დასავლეთი საქართველოს ხელს უშლის, რუსეთთან კარგი ურთიერთობები დაამყაროს;
- პროპაგანდა პუტინის ომს უკრაინაში კვლავ მხარს უჭერს;
- ღაზის სექტორში მიმდინარე კონფლიქტის პარალელურად, კვლავ ძლიერია ანტისემიტური ნარატივები.

ევროპულმა კომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა

ევროპულმა კომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაციით ევროპულ საბჭოს მიმართა. ევროკომისიის პრეზიდენტმა განცხადება 8 ნოემბერს გააკეთა. „ევროკომისია გასცემს რეკომენდაციას, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს იმ პირობით, რომ მთავრობა მნიშვნელოვან რეფორმებს განახორციელებს. რეფორმებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობის ევროპულ მისწრაფებებს ასახავს“, განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გრასის დეზინფორმაციის ბრიფი მომდევნო გამოშვებაში დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით.

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს, ხოლო ლევან დოთიაშვილი გაიტაცეს

6 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კირბალის მიმდებარედ, რუსულმა საოკუპაციო ძალებმა საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს, ხოლო ლევან დოთიაშვილი უკანონოდ დააკავეს. ადგილობრივი მცხოვრებლების თანახმად, საქართველოს ორი მოქალაქე საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე წმინდა გიორგის

სახელობის ეკლესიაში იმყოფებოდნენ. 2023 წლის აგვისტოში რუსული ძალების წარმომადგენლებმა ეკლესიის კარი თუნუქის ფირფიტით აჭედეს, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესვლის საშუალება არ მიეცათ.

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მოითხოვა რუსეთისა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებთან საგანგებო შეხვედრის გამართვა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეთვალყურეობით, შეხვედრა საღამოსვე შედგა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის დირექტორის მოადგილის, ირაკლი ანთაძის განცხადებით, ქართული მხარე მოითხოვდა უკანონოდ დაკავებული მოქალაქე ლევან დოთიაშვილის დაუყოვნებლივ დაბრუნებასა და დამნაშავეების დასჯას.

ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. „უსაფრთხოების სამსახურმა“ საქართველოს მოქალაქეები მესაზღვრეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნაში დაადანაშაულა. განცხადების თანახმად, „საზღვრის დამრღვევებმა“ ნაჯახი გამოიყენეს, შემდეგ კი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებში დაბრუნება სცადეს. აღნიშნული უკანონო ქმედებებისა და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის“ უკანონო გადაკვეთის თავიდან ასარიდებლად, მესაზღვრეებს ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლების განხორციელება დასჭირდათ, თუმცა „მას შემდეგ, რაც სამართალდამრღვევები კანონიერ მოთხოვნებს არ დაემორჩილნენ, ცეცხლი გაუხსნეს მათი ავტომობილების საბურავებს“.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აღშფოთება გამოხატა და აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაქტი ქართულ სახელმწიფოებრიობაზე თავდასხმა იყო, რაც „ერთმორწმუნე ძმების“ ნამდვილ სახეს კიდევ ერთხელ ამხელდა. სალომე ზურაბიშვილმა სასწრაფოდ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეგმო რუსეთის ქმედებები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური განცხადების თანახმად, ინციდენტმა კვლავ გაუსვა ხაზი „რთულ მდგომარეობასა და ოკუპაციის მძიმე შედეგებს“. ღარიბაშვილი საერთაშორისო პარტნიორებს სთხოვდა, „სწორად შეეფასებინათ ინციდენტი და შესაბამისი პასუხი გაეცათ“, ხოლო ოკუპანტებს მოუწოდებდა, „ყველა ჩართულ მხარესთან ეთანამშრომლათ, რათა ამოეცნოთ და შესაბამისად დაესაჯათ დამნაშავეები“.

მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიკულმა ინციდენტმა უსამართლოდ და ძალადობრივად შეიწირა უდანაშაულო ქართველი მოქალაქის სიცოცხლე, ნაცვლად გაერთიანებისა და პრობლემის აღკვეთის გზების განსახილველად სიღრმისეული დისკუსიების გამართვისა, პოლიტიკურმა სპექტრმა ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყო - მმართველი პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ რუსული ოკუპაციისა და 2008 წლის ომის გამო ადანაშაულებდა, ოპოზიციური პარტიები კი რუსეთთან მიმართებით „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მარცხს აკრიტიკებდნენ.

- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას წინა ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის მემკვიდრეობა უწოდა.

- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ იგივე ნარატივი გაიმეორა, რომლის მიხედვითაც, რუსული ოკუპაცია წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა იყო, რამაც საქართველოს მოქალაქე შეიწირა.

- მსგავსი რიტორიკით იხელმძღვანელა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემაც და რუსულ ოკუპაციაზე პასუხისმგებელი მხარე აღნიშნული ტრაგედიით სარგებლობის მცდელობაში დაადანაშაულა. „ქართული ოცნების“ მიერ „ენმ-ს“ დატოვებული ბევრი პრობლემის მოგვარების მიუხედავად, ერთი პრობლემა - რუსული ოკუპაცია და მისი თანმდევი უმძიმესი შედეგები - კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. „კოლექტიური ნაცმოძრაობა კი ბედავს ამ თემაზეც სხვისკენ გაიშვიროს ხელი!..“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

- აღსანიშნავია, რომ ტრაგედიის მსხვერპლი გორის საკრებულოს წევრისა და „ენმ-ს“ დეპუტატის გივი გინტურის ძმა იყო, რასაც პროსახელისუფლებო პროპაგანდისტმა ხაზი გაუსვა და, ამასთანავე, აღნიშნა, რომ ევროკომისიის მიერ ისტორიული გადაწყვეტილების მოლოდინში, რომელიც ოპოზიციას მნიშვნელოვნად შეასუსტებდა, რუსულმა ძალებმა დანაშაულით „ოპოზიციის წისქვილზე წყალი დაასხეს“.

- პროსახელისუფლებო ექსპერტის, გია აბაშიძის, სოციალური მედიის პოსტში ვკითხულობთ, რომ რუსულმა ოკუპანტებმა „ენმ-ს“ „სისხლიანი საჩუქარი“ გაუკეთეს. მისი თქმით, „კოლექტიური ნაცმოძრაობა“ რუსეთთან თანამშრომლობით ევროპული ინტეგრაციის პროცესის შეფერხებას ცდილობდა.

- რადიკალური რიტორიკით იხელმძღვანელა პრორუსულმა „ალტ-ინფომ“, რომელმაც ოპოზიცია და დასავლეთი ინციდენტით სარგებლობაში დაადანაშაულა. მათი მოლოდინით, აღნიშნული ტრაგედია პროპაგანდას გააძლიერებდა, ხალხის ემოციებს გააღვივებდა და რევოლუციას საწყისი გახდებოდა. აგრეთვე, რევაზ კილასონია, „ალტ-ინფოს“ ხშირი სტუმარი, ირწმუნებოდა, რომ ინციდენტი დასავლეთის სადაზვერვო სამსახურმა განზრახ გამოიგონა, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გაეჩაღებინა და, შედეგად, მეორე ფრონტი გახსნილიყო.

იქიდან გამომდინარე, რომ ვითარება გაზეთის ამ გამოშვების წერის პროცესშიც პროგრესირდება და მხარეები კვლავ აფიქსირებენ პოზიციებს, გრასის დეზინფორმაციის ბრიფი განახლებულ ინფორმაციას მომდევნო გამოშვებაში მოგაწვდით.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატის მიმართ შეურაცხმყოფელი, სექსისტური განცხადებები გააკეთა

31 ოქტომბერს პარლამენტის პლენარული სხდომის დროს, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ ოპოზიციონერი ქალი დეპუტატისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, თეონა აქუბარდიას, მიმართ შეურაცხმყოფელი, სექსისტური განცხადებები გააკეთა. ბერაიას თქმით: „რეალური მიზეზი, რის გამოც ქალბატონი აქუბარდია ბოლო ერთი წელია მოიხსენიებს ჩვენს კომიტეტს და მეც არცთუ ისე სახარბიელოდ, ისაა, რომ მას არ ეძლევა სხვადასხვა პლატფორმის დეზინფორმაციის მიზნით გამოყენების, ასევე, მისნაირებთან და ვიღაც-ვიღაცებთან სელფების გადაღების და „გაფეისბუქების“ საშუალება; აეროპორტების ლაუნჯებში შესვლის, იქ გასკდომის და გამოთრობის, გაშხლართვის საშუალება... მოვუწოდებ ამ ადამიანს, მისი გრძელი და ყველგან ნამყოფი ენით ჩემი და ჩემი კომიტეტის ხსენებისგან თავი შეიკავოს“. ირაკლი ბერაია, აგრეთვე, ირწმუნებოდა, რომ აქუბარდია ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე შეხვედრებს იმიტომ არ ესწრებოდა, რომ „შოპინგზე იყო გაქცეული, ან მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, „პახმელიაზე“ ბალიშიდან თავის წამოწევა ეზარებოდა“.

თეონა აქუბარდიამ, აღნიშნული ბრალდებების სამიზნემ, ირაკლი ბერაიას „ქართული ოცნების კაცუნა“ უწოდა და აღნიშნა, რომ არ გაჩუმდებოდა, „როცა მათი მთავრობის წევრი პუტინთან ერთად სადილობს და დარბაზში მის გამოსვლას ესწრება, მაშინ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე დასავლეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციის ფლაგმანი ხდება და მაშინ, როცა რუსული ოკუპაცია ოცნებას წინა ხელისუფლების მემკვიდრეობა ჰგონია და პასუხისმგებლობას ამით იცილებს თავიდან“.

ქალმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა იმავე დღეს გამართულ ერთობლივი ბრიფინგზე ბერაიას განცხადებები შეაფასეს, როგორც ქალი დეპუტატების დისკრედიტაციის მცდელობა. ამასთანავე, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პარლამენტის გენდერულ საბჭოს გააქტიურებისკენ და პარლამენტში ქალთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდეს. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ინციდენტს „სამარცხვინო“ უწოდა და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდა, უმკაცრესი ზომები მიეღო.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ირაკლი ბერაიამ ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ მმართველი პარტიას სისტემურად და უსამართლოდ აკრიტიკებენ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის გამო, რის საპასუხოდაც მათი რეაქცია ყოველთვის მწვავეა. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი გადაჭარბებული რეაქციის მიზეზი აქუბარდიას მტკიცების სიმძიმე გახდა. „მინდა ბოდიში მოვიხადო, სხვა კომენტარის გაკეთებას ამაზე არ ვაპირებ, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია“, - განაცხადა ბერაიამ. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ აღნიშნა განცხადების სიმწვავე და განმარტა, რომ „ნამდვილად არ იყო მოსაწონი ის რეაქციები, რაც მეორე მხრიდან სერიოზულ პროვოკაციებს მოჰყვა, თუმცა ეს შედარებით მეორეხარისხოვანი ხდება, როდესაც მართლაც შეიძლება ეთიკის რაღაც ნორმები ირღვევა“. პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა აღიარა პირადი პასუხისმგებლობა და განაცხადა, რომ უზრუნველყოფს, ამა თუ იმ პოლიტიკოსის სიტყვით გამოსვლა პიროვნულ შეურაცხყოფაზე არ გადავიდეს და საუბარი დროულად შეაწყვეტინოს. „ქართული

ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, პოლიტიკოსებმა არ უნდა შეურაცხყონ ერთმანეთი. მისი თქმით, ქალი ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ ხშირად გაკეთებული აგრესიული და შეურაცხმყოფელი განცხადებები სამწუხარო იყო. მან, ასევე, გაიხსენა, რომ ცილისწამება მისი მისამართითაც ბევრჯერ დაფიქსირებულა ტელევიზიების მიერ.

საბოდიშო განცხადება არ აღმოჩნდა საკმარისი ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის, რომ თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარისთვის თანამდებობის დატოვება არ მოეთხოვათ, თუმცა ის საკმარისი იყო პარლამენტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარისა და მმართველი პარტიის დეპუტატის, ნინო წილოსანისთვის. მან განმარტა, რომ გენდერული საბჭოს მიერ აღნიშნული საკითხის დეტალურად განხილვა აღარ იქნებოდა საჭირო, რადგან ბერაიამ ბოდიში მოიხადა.

კრიტიკა და „ქართული ოცნების“ თავდაპირველი სინანული მომდევნო დღეს თავდასხმებმა ჩაანაცვლა.

- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ირაკლი ბერაიას მიერ თანამდებობის დატოვების მოთხოვნას არასერიოზული უწოდა. მისი თქმით, ქალ ოპოზიციონერ დეპუტატებს ზრდილობაზე საუბრის მორალური უფლება არ ჰქონდათ, რადგან ზრდილობის ნორმების დარღვევით სწორედ ისინი გამოირჩევიან. ორმაგი სტანდარტების არსებობას მოწმობს ის შემთხვევები, როდესაც ქალი ოპოზიციონერები კაც დეპუტატებს „პატარა კაცებს“ უწოდებენ, რაც შეიძლება გენდერულად მოტივირებულ შეურაცხყოფად აღიქმებოდეს. კობახიძის თქმით, ქალი ოპოზიციონერებისგან განსხვავებით, ბერაიას არ გაუჭირდა, ბოდიში მოეხადა. ქალი დეპუტატები ახდენენ საპარლამენტო გენდერული კვოტების დისკრედიტაციას. „მინდა მათ მოვუწოდო, პატივი სცენ საკუთარ საპარლამენტო სტატუსს, იმას, რომ არიან ქალი დეპუტატები და მოიქცნენ სხვანაირად!“, - განაცხადა კობახიძემ.

- ოპოზიციის მიერ ბერაიას თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით მოთხოვნების წამოყენების საპასუხოდ, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, არ გადაეჭარბებინათ და მიღებული ბოდიში შეერგოთ. მდინარაძემ ოპოზიციის ორმაგ სტანდარტებად შეაფასა ის ფაქტი, რომ მსგავს რეაქციას არ გამოხატავენ, როდესაც მმართველ პარტიას შეურაცხყოფენ. აღნიშნული მტკიცების არგუმენტად გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ქალმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის სიტყვით გამოსვლის პარალელურად გაშალეს ბანერი უკრაინელი მებრძოლის ცნობილი ფრაზით.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის მტკიცებით, ბერაია არ დატოვებდა თანამდებობას. პაპუაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ოპოზიციას

ორმაგი სტანდარტები აქვს და გაიხსენა კულტურის მინისტრის მიერ სიტყვით გამოსვლის დროს მომხდარი ფაქტი, როდესაც ქალმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ბანერი გაშალეს.

- ოპოზიციის დამოკიდებულებას ორმაგი სტანდარტები უწოდა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამაც, რადგან ისინი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მუდმივად უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ, თუმცა მათ განცხადებებს არასოდეს მოჰყოლია მსგავსი რეაქცია.

- მმართველი პარტიის ქალმა დეპუტატმა რიმა ბერაძემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ფრაქციის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ და თავად ირაკლი ბერაიამ ბოდიში მოიხადეს. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ თავადაც ხშირად გამხდარა შეურაცხყოფის სამიზნე როგორც მამაკაცი, ისე ქალი დეპუტატებისგან. „ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია, მაგრამ მე მექნება ერთ თხოვნა, რომ ეს უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციამ და პოზიციამ. იცით, რა ხშირი ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩემთვისაც მოუყენებიათ შეურაცხყოფა მამაკაც დეპუტატებსაც და ქალებსაც... გენდერი აქ რა შუაშია? ორთავე მხარეზე ვსაუბრობ“, - განაცხადა დეპუტატმა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატები ირწმუნებიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციას არ სურთ, საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს;

- საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროპული კომისიის მიმართვის საპასუხოდ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა „ელიტური NGO-ები“ ექსტრემიზმის წახალისებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ორგანიზაციები წელიწად-ნახევრის განმავლობაში ცდილობდნენ, კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის ხელი შეეშალათ, თუმცა ევროკავშირის მხრიდან წამოსული პოზიტიური სიგნალების გამო, ახლა გადაწყვიტეს, ქართველი ხალხის გამარჯვების მონაწილეები გახდნენ.

- ირაკლი კობახიძის შეფასებით, რადიკალური ოპოზიცია შეწუხებულია იმით, რომ საქართველო, ძალიან მაღალი ალბათობით, კანდიდატის სტატუსს მიიღებს. „ენმ“, „ლელო“ და „კოლექტიურ ენმ-სთან“ აფილირებული სხვა პარტიები „ქართული ოცნების“ წარმატების შედეგად, ხმებს დაკარგავენ. ოპოზიციურ პარტიებს უარყოფითი გადაწყვეტილების იმედი ჰქონდათ, რადგან აღნიშნული ფაქტი რევოლუციის საბაბი გახდებოდა, მსგავსად მცდელობისა 2022 წლის ივნისში, როდესაც მათი მცდელობა ევროპული პერსპექტივის მიღების შემდეგ წარუმატებლად დასრულდა. კობახიძის განცხადებით, ოპოზიცია შეგნებულად, საზოგადოების რეაქციების გასამწვავებლად ატყუებს ხალხს, ხოლო კანდიდატის სტატუსს საქართველოს წარმატების გარანტად წარმოაჩენს. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის

სტატუსის მინიჭება მოსალოდნელი გახდა, ოპოზიციურმა პარტიებმა უკვე დაიწყეს აღნიშნული გადაწყვეტილების მნიშვნელობის დაკნინება.

- ოპოზიციური პარტიები და „ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები“ საქართველოს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ დაუღალავი კამპანიების გამართვაში აგრეთვე დაადანაშაულა ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მაკა ბოჭორიშვილმაც. ბოჭორიშვილის შეფასებით, ოპოზიცია ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესს ბოიკოტს უცხადებდა, ავრცელებდა დეზინფორმაციას, რომლის თანახმადაც საქართველო „შავი ხვრელი“ იყო რუსეთისთვის, რომლითაც საერთაშორისო სანქციებს თავს არიდებდა, დაბოლოს, ლობისტებს ფულს უხდიდა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის შესაფერხებლად.

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, ოპოზიციამ დიდი მცდელობა გაიღო, რათა კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის ხელი შეეშალა.

- მმართველი პარტიის დეპუტატმა ბექა დავითულიანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღება ქართველი ხალხისა და ხელისუფლების დამსახურება იქნებოდა და არა ოპოზიციის, რადგან ამ უკანასკნელს 12 რეკომენდაციის აღსრულებაში მონაწილეობა არ მიუღია. მისი მტკიცებით, თავად ოპოზიციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ევროპელ პარტნიორებს ეხვეწებოდნენ, არ მიეცათ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსი.

მმართველი პარტია განაგრძობს ევროკავშირისა და აშშ-ს კრიტიკას ექსტრემიზმის წახალისების ბრალდებით;

- კახა კალაძის განცხადებით, როდესაც ევროკავშირმა საქართველოს თავდაპირველად არ მიანიჭა კანდიდატის სტატუსი და არც აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზები განმარტა, მას რეალურად გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის მიზნები ამოძრავებდა. მმართველი პარტია არავის მისცემს უფლებას, საზარბაზნე ხორცად გამოიყენოს ქვეყანა და ქართველი ხალხი. „ჩვენ მზად ვართ მეგობრობისთვის, პარტნიორობისთვის, თუმცაეს ყველაფერი უნდა იყოს ორმხრივი“, - განაცხადა კალაძემ. მისი თქმით, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა საქართველოს მტრობს. ისინი უცხოელ პატრონებს ეკუთვნიან, რომელთაგანაც ქვეყნის დესტაბილიზაციისა და ქაოსის შექმნის მიზნით, კონკრეტულ მითითებებს იღებენ. უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე კონფლიქტების პარალელურად, საქართველო დიდი საფრთხის





წინაშეა, ხოლო ერთადერთი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში, რომელსაც მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლია, „ქართული ოცნებაა“.

- ირაკლი კობახიძის მტკიცებით, NGO-ების დაფინანსება ექსტრემისტული ღონისძიებების განხორციელებას ემსახურება. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მმართველმა პარტიამ ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან შეხვედრა გამართა, რათა აღეკვეთა ექსტრემიზმის, პოლარიზაციისა და რევოლუციის წასახალისებლად გამოყოფილი უცხოური დაფინანსება.

- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციონერ დეპუტატ თეონა აქუბარდიასთან დისკუსიის დროს, შალვა პაპუაშვილმა USAID-ის მიერ დაფინანსებული „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) ხმების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, USAID-ის წარმომადგენლებმა არ მიმართეს ქართველ ხალხს, როდესაც ისინი აქციებს მართავდნენ არჩევნების გაყალბების გამო, მიუხედავად აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ინფორმაციის ფლობისა. „თქვენ, როგორც პარლამენტის წევრს, ეს თუ საერთოდ არ განაღვლებთ, მაშინ პატრიოტიზმის არანაირი გრძნობა არ გქონიათ. მითხარით, არის თ არა ეს დეზინფორმაცია? ეს არის ფაქტები“, - მიმართა პაპუაშვილმა აქუბარდიას.

კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მოლოდინში პროპაგანდა დასავლეთს ქაოსის გამიზნულად შექმნაში ადანაშაულებდა;

- პრორუსული „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მარტინენკო ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი გეგმავდა, მომდევნო ორი თვის განმავლობაში საქართველოში მდგომარეობა გაემწვავებინა, ძალის გამოყენებით გადაეგდო ხელისუფლება და ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია. თუ დასავლეთი ვერ შეძლებდა აღნიშნული მიზნის ახლა მიღწევას, მომავალში, უფრო კონკრეტულად კი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს განაგრძობდა საზიანო გეგმების განხორციელებას. დასავლეთის აგენტები საქართველოში ეცდებოდნენ, საზოგადოების ემოციური მანიპულაციის საშუალებით, დემონსტრაციები წამოეწყოთ და პოლიციასთან შეტაკებები წაეხალისებინათ, რაც, საბოლოოდ, რევოლუციაში გადაიზრდებოდა.

- „ალტ-ინფო“, აგრეთვე, ირწმუნებოდა, რომ დასავლეთის მიერ საქართველოს მისამართით განხორციელებული დესტრუქციული ქმედებები უფრო დიდი გეოპოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა, გაეზარდა დასავლეთის გავლენა მსოფლიოზე. აღნიშნული საფრთხის თავიდან არიდება მხოლოდ „ანტიმაიდნის მოძრაობას“ შეეძლო, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ხალხის შემოერთებას ცდილობს, რათა ფიზიკურად გაუმკლავდეს პროდასავლურ დემონსტრაციებს.

- „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტის განცხადებით, საქართველოს ოცდაათწლიანი მცდელობა, ინტეგრირდეს დასავლეთთან, სწორედ დასავლეთის მიერ ინიცირებული გადატრიალებით დასრულდებოდა. მმართველი პარტია ყველა ზომით ცდილობს კანდიდატის სტატუსის მიღებას, რადგან უარყოფა რევოლუციის შანსს გაზრდის.

- ტრისტან წითელაშვილი, პრორუსული პროპაგანდისტი და ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობისთვის იყო მსჯავრდებული, ხოლო შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური პატიმრის წოდებით გაათავისუფლა, ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს მიერ დაფინანსებული აგენტები საქართველოს ძირს უთხრიან. მისი თქმით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსში კარგი არაფერია, რადგან ევროკავშირი „ლგბტ ცხოვრების წესსა და გარყვნილებას“ უწყობს ხელს. ამასთანავე, ევროკავშირის წევრობაში სასარგებლო არაფერია და მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ საქართველოს მოუწევს, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკა გაატაროს.

- „სეზონი ტვ-ს“ წამყვანი და პროპაგანდისტი ნიკოლოზ მჟავანაძე, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის დისკრედიტაციის მიზნით, უსაფუძვლოდ აცხადებდა, რომ სტატუსი სარგებელს არც საქართველოს და არც მის მოსახლეობას მოუტანს. კანდიდატის სტატუსის მიღების შედეგად ანტიქართული დღის წესრიგის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება გაიზრდება. საქართველო იძულებული იქნება, მიიღოს უფრო მეტი ანტიქრისტიანული შინაარსის მქონე კანონი, როგორიცაა ანტიდისკრიმინაციული კანონი.

- ევროკომისიის მისამართით, კანდიდატის სტატუსის შესახებ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მიმართვასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებისას, მთავრობის მიერ წახალისებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ დამფუძნებელმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ „დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები“ ცდილობენ ისე წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს ევროკავშირს არ სურს საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, თუმცა გადაწყვეტილებას მაინც მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის გამო. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ საქართველოსა და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის საჭიროებიდან გამომდინარე, ევროკავშირი მას კანდიდატის სტატუსს მიანიჭებდა. თუმცა, მისი აზრით, საქართველოს არ სჭირდება „გაკოტრებული ევროკავშირი“.

- ანტიდასავლური პროპაგანდისტი „ალტ-ინფოზე“ აცხადებდა, რომ USAID და საქართველოში მოქმედი სხვა უცხოური ორგანიზაციები დასავლური

სადაზვერვო სამსახურის გეგმებს ახორციელებდნენ. უცხოელი აგენტების კანონის წინააღმდეგ მომხდარი მტკიცე პროტესტიც სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ზემოაღნიშნულს გამოააშკარავებდა და ამ ორგანიზაციებს საზიანო საქმის განხორციელებაში შეუშლიდა ხელს. აღნიშნულ ნარატივს, აგრეთვე, ტრისტან წითელაშვილმაც დაუჭირა მხარი და ხელისუფლებას მოუწოდა, აღეკვეთა დასავლური დაფინანსება, რომელიც, მისი თქმით, ოპოზიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მილიონობით დოლარით აფინანსებს ხელისუფლების გადაგდებისა და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მიზნით.

- მორიგმა პროპაგანდისტმა „ალტ-ინფოზე“ აშშ-ს „მსოფლიო დიქტატორი“ უწოდა, რომელიც მიზანმიმართულად იწვევს „სისხლის მდინარეებსა და კონფლიქტებს მსოფლიოში“. აშშ-ს სისხლისღვრის გაჩაღება საქართველოშიც სურს, რასაც ქართველი ხალხი ხედავს და „მსოფლიო დიქტატორის ჯაჭვებისგან თავისუფლდება“.

- მიუხედავად მტკიცებებისა, რომელთა თანახმადაც, დასავლეთს გეგმები და საკმარისი გავლენა აქვს, რათა მსოფლიოში ქაოსი და ომი გააჩაღოს, „ალტ-ინფოზე“ გაჟღერებული მორიგი ნარატივი ვარაუდობს, რომ უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე დასავლეთი სუსტდება. ისლამური სამყარო იაზრებს, რომ დასავლეთი „ისრაელის დანაშაულის“ თანამონაწილეა, შესაბამისად, ახლა მასაც უპირისპირდება. ამავდროულად, დასავლეთის გეგმები, გაენადგურებინა რუსეთი, ჩაიშალა, რადგან ეს უკანასკნელი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

- იგივე პროპაგანდისტი იმუქრებოდა, რომ საქართველო დასავლური გავლენისგან თავს დაიხსნიდა და პროდასავლურ ძალებს „საქართველოდან გაქცევა თვითმფრინავის ფრთებზე აძრომით მოუწევდათ, ავღანეთის მსგავსად“. დასავლეთი ქართველ ხალხს ავიწროებს, ქვეყნის ეროვნულ კულტურას შეურაცხყოფს, განიზრახავს, რომ საქართველო სიბნელესა და მონობაში ამყოფოს, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებელი ნების გარეშე. დასავლეთსა და საქართველოს შორის ბრძოლა ქართული იდენტობისთვის ბრძოლაა.

პროპაგანდის თანახმად, დასავლეთი საქართველოს ხელს უშლის, რუსეთთან კარგი ურთიერთობები დაამყაროს

- პრორუსული „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი მარტინენკოს, მტკიცებით, რუსეთთან მოლაპარაკებები არ ნიშნავს მოსკოვის მონობას. რიგი პრობლემების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის, გადასაჭრელად, საქართველოს სჭირდება რუსეთთან კარგი ურთიერთობები დაამყაროს. პროპაგანდისტის თქმით, აშშ-სთან ახლო ურთიერთობა მონობაა, რადგან ვაშინგტონი საქართველოს მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და კანონების მიღებას აიძულებს, როდესაც მოსკოვი მსგავსი მოთხოვნებით არ მოგვმართავს და ღიაა მარტივი მოლაპარაკებებისთვის.

- „ალტ-ინფოს“ მორიგმა წამყვანმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა, რუსეთთან კარგი ურთიერთობა შეაფასა, როგორც გადამწყვეტი საქართველოს ინტერესებისთვის, რადგან აღნიშნული გადაჭრიდა ოკუპაციის პრობლემას, უზრუნველყოფდა საქართველოს უსაფრთხოებას და გზას გაკვალავდა ეკონომიკური განვითარებისკენ. საქართველო რუსეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებისკენ ნაბიჯებს იმიტომ არ დგამს, რომ აღნიშნულს აშშ უკრძალავს.

- აღნიშნულ ნარატივს მხარს უჭერდა მღვდელიც, რომელიც ხშირად სტუმრობს „ალტ-ინფოს“ გადაცემებს. მისი თქმით, რუსეთი პატივს სცემს საქართველოს გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობას და მზადაა, მისი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, თუმცა აღნიშნულს აშშ-ც ამჩნევს და პროცესს ხელს უშლის, რათა საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის მიზანს წარმატებით მიაღწიოს.

- „ალტ-ინფოს“ მორიგი ანტიდასავლური პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ ვაშინგტონსა და ბრიუსელს საქართველოსთვის სუაფრთხოების გარანტიის მიცემა არ შეუძლია. უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე კონფლიქტებმა დასავლეთი დაასუსტა და აშშ-ს ჰეგემონია მალე დასრულდებოდა. შესაბამისად, თუ დასავლეთს საკუთარი უსაფრთხოების დაცვა არ შეუძლია, საქართველოს უფრო ვერ დაეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც საქართველოს უსაფრთხოების დაცვა შეუძლია, რუსეთია.

- „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერის, ზურაბ მახარაძის თქმით, რუსი ტურისტებისგან მიღებული ფინანსური შემოსავალი ევროკავშირის ტურისტებისას სცდება, შესაბამისად, რუსი მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლის აკრძალვა საქართველოს ეკონომიკას დააზარალებს და ჩვეულებრივი მოქალაქეების ჯიბეებზე ნეგატიურად აისახება. აგრეთვე, მახარაძის შეფასებით, რუსი მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვის მოთხოვნები ქსენოფობიურია, ხოლო ადამიანების წინააღმდეგ დისკრიმინაცია ეთნიკური და ლინგვისტური მიზეზებით, დაუშვებელია.

- „ალტ-ინფოზე“ დაფიქსირებული მორიგი ნარატივის მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი მართლმადიდებლობის ლიდერია და ეწინააღმდეგება მსოფლიოზე გაბატონების გლობალისტურ გეგმებს, ამით ის უპირისპირდება კოლექტიური დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებსაც, შეასუსტოს რუსეთი.

- სოციალური მედიის ანგარიშმა, რომელიც ხშირად ავრცელებს დეზინფორმაციასა და პრორუსულ პროპაგანდას, გამოაქვეყნა პოსტი, რომლის თანახმადაც, რუსეთი პოსტსაბჭოთა ტერიტორიას დასავლეთის გავლენისგან

გაათავისუფლებდა, ხოლო პროდასავლურ ძალებს საქართველოდან გაქცევა მოუწევდათ, როდესაც აშშ მათ უახლოეს მომავალში მიატოვებდა.

პროპაგანდა პუტინის ომს უკრაინაში კვლავ მხარს უჭერს

- დაღესტნის დედაქალაქ მაჰაჩყალის აეროპორტში ანტისემიტური აქციის მონაწილეების მიერ ებრაელთა გაძევების მოთხოვნის ფაქტზე კომენტარის გაკეთებისას, „სეზონი ტვ-ს“ წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული აქცია, დასავლეთის მხარდაჭერით გაიმართა და უკრაინის სადაზვერვო სამსახურის მიერ იყო ორკესტრირებული.

- „ალტ-ინფოზე“ პროპაგანდისტი ამბობდა, რომ ნატო კიევს ეხმარებოდა, თუმცა, ამავდროულად, ქვეყანას საზარბაზნე ხორცად იყენებდა რუსეთის დასასუსტებლად. ისრაელსა და ჰამასს შორის კონფლიქტის გამწვავების შემდგომ, დასავლეთმა უკრაინა სრულიად მიატოვა.

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წამყვანის მტკიცებით, ზელენსკი იძულებული იქნება, ხელი მოაწეროს არასასურველი პირობების მქონე შეთანხმებებს, რადგან უკრაინა ომს აგებს. წამყვანმა ომსა და უკრაინელი ხალხის სიკვდილში ზელენსკი დაადანაშაულა.

- „ალტ-ინფოზე“ მორიგი პროპაგანდისტის შეფასებით, უკრაინა, პრაქტიკულად, უკვე განადგურებულია. ნატოს თავდაპირველი გეგმის თანახმად, უკრაინაში ომის დაწყება რუსეთს შეასუსტებდა, თუმცა ახლა უკვე აშკარაა, რომ რუსეთმა ისტორიულ სიძლიერეს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას ახლა ომის დასრულება სურს, დასავლეთი ქვეყანას რუსეთთან მოლაპარაკებებს უკრძალავს.

- მორიგი ნარატივის მიხედვით, თუ უკრაინა მინსკის შეთანხმებას შეასრულებდა და ნეიტრალური გახდებოდა, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და ომის თავიდან არიდებას შეძლებდა. ნარატივი საქართველოს მოუწოდებს, უკრაინის შეცდომებისგან ისწავლოს და უსაფრთხოებისათვის ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს.

- პრორუსული სოციალური მედიის ანგარიშზე გავრცელდა პოსტი, რომლის თანახმადაც დასავლეთმა უკრაინა მიატოვა. ის ფაქტი, რომ ახლა პოტენციურ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე საუბრები მიმდინარეობს, ნიშნავს, რომ ნატოს მხარდაჭერა უკრაინისთვის რუსეთის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ნატო უკრაინას რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას ომის დაწყებიდან უკრძალავს, ახლა კი ზელენსკის აიძულებს, არასახარბიელო პირობებს დათანხმდეს. ნარატივის თანახმად, აშშ-ს მოკავშირეებმა, მათ შორის საქართველომ, საკუთარ თავებს უნდა ჰკითხონ, არის თუ არა ეს მოკავშირეობა სასარგებლო და საჭირო ხომ არაა, საქართველომ ალტერნატიული საგარეო პოლიტიკა განავითაროს.

- კრემლინის დაფინანსებულ „სპუტნიკ საქართველოზე“, რომელიც ხშირად აქვეყნებს რუსი ავტორების სტატიებს, გავრცელდა პროპაგანდისტული სტატია, რომლის თანახმადაც „კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი რუსული არმია საკუთარ მიწაზე ამარცხებს ნატოს მარიონეტი უკრაინის ძალებს, მიუხედავად ვაშინგტონისა და ბრიუსელის გეგმებისა, დეკლარაციებისა და ღირებულებებისა“; აშშ და ნატო ახლა უკრაინის სახელმწიფოებრიობისთვის იბრძვიან, რუსული ძალები კი შეტევას განაგრძობენ. სტატია ხელმძღვანელობს რიტორიკით, რომლის მიხედვითაც, დასავლურ მედიაში გამოკვეთილი პესიმისტური ნარატივები მიანიშნებს, რომ უკრაინა ომში მარცხდება.

ღაზის სექტორში მიმდინარე კონფლიქტის პარალელურად, კვლავ ძლიერია ანტისემიტური ნარატივები

- სოციალური მედიის ანგარიში წერდა, რომ რუსეთსა და საქართველოს საერთო მტერი ებრაელი ხალხია - ახალი მსოფლიო წესრიგის მმართველი ელიტის წარმომადგენლები და სატანისტური სამოქმედო გეგმის განმახორციელებელნი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პოსტში აგრეთვე ვკითხულობთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების სათავე სწორედ ებრაელი ხალხია.

- მორიგი პროპაგანდისტული წყარო ირწმუნებოდა, რომ ისრაელი ბოროტების ღერძის - ანგლო-ამერიკული სამყაროს ნაწილია. დასავლეთთან ერთად, ისრაელი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას განიზრახავს. ასევე, ავტორის თანახმად, უკრაინასა და რუსეთს შორის ომიც სწორედ ისრაელმა გააჩაღა, რათა უკრაინის ტერიტორიაზე „ახალი ისრაელი“ გაეშენებინა.

- მორიგი ნარატივის მიხედვით, ისრაელსა და ჰამასს შორის ომი ებრაელმა ხალხმა რეგიონის პალესტინელებისგან ეთნიკურად გასაწმენდად დაიწყო, რათა „მოშიახი“, ანუ „მესია“ - ანტიქრისტე მოეყვანათ.

- კიდევ ერთმა ანგარიშმა სოციალურ მედიაში გაავრცელა დეზინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ებრაელმა ხალხმა დონეცკში, უკრაინაში, საკონცენტრაციო ბანაკების აშენება დაიწყო. გლობალისტები გეგმავენ, უკრაინის ტერიტორიაზე ახალი ისრაელი გააშენონ და იქ მილიონობით ებრაელი გადაასახლონ.